სსრ კავშირის პირველობაზე

კვირას, 19 აგვისტოს, ლ. პ. ბერიას სახელობის "დინამოს" სტადიონზე ჩატარდა მეორე წრის მე–5 კალენდარული მატჩი ფეხბურთში. ერთმანეთს შეხვდნენ თბილისის "დინამოსა" და მოსკოვის "სპარტაკის" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდები. შეხვედრა იწვევდა დიდ სპორტულ ინტერესს, ვინაიდან ამ გუნდების პირველი წრის შეხვედრა, რომელიც ჩატარდა მოსკოვში, დაძაბული ბრძოლის შემდეგ დამთავრდა თბილისელთა გამარჯვებით (2:1). მოსალოდნელი იყო, რომ მოსკოველები თავგამოდებით იბრძოლებდნენ რევანშისათვის.

მოლოდინი სავსებით გამართლდა. პირველი წუთიდანვე აღებული თამაშის სწრაფი და თავბრუდამხვევი ტემპი ორივე გუნდმა ბოლომდე შეინარჩუნა.

პირველ წუთებში მოსკოველებმა, რომელთაც თამაში უხდებოდათ ქარის მიმართულებით, მედგარი იერიშები მიიტანეს თბილისელთა კარებზე. მე–9 წუთზე მარტოდ დარჩენილმა მოსკოველმა მალინინმა 10 მეტრიდან ძლიერად დაარტყა თბილისელთა კარში, მაგრამ მეკარე შუდრამ სხარტი ნახტომით მოიგერია "მკვდარი" ბურთი. მოსკოველებმა შეტევა განაგრძეს. მე–18 წუთზე მეკარე შუდრამ მეორეჯერ მოიგერია 6 მეტრიდან სოკოლოვის მიერ დარტყმული საშიში ბურთი. თამაში თანდათან გადავიდა მოსკოველთა საჯარიმო მოედანზე. თბილისელ თავდამსხმელთა ხუთეულმა, რომელიც ამ დღეს განსაკუთრებით კარგად და კომბინირებულად თამაშობდა, საფრთხე შეუქმნა მოსკოველთა დაცვის ხაზს. 30–ე წუთზე მეკარე ლეონტიევთან პირისპირ დარჩენილი თბილისელი ბერეჟნოი კარგავს ბურთის გატანის ნაღდ შესაძლებლობას. მიუხედავად იმისა, რომ თბილისელებს კიდევ ჰქონდათ ანგარიშის გახსნის რამდენიმე კარგი შემთხვევა, პირველი ტაიმი დამთავრდა უშედეგოდ.

მეორე ტაიმი ჩატარდა თბილისელთა დიდი უპირატესობით. მე–7 წუთზე თბილისელმა ანთაძემ მოსკოველთა ბადეში გაახვია გადამწყვეტი ბურთი და შეხვედრა დამთავრდა თბილისის "დინამოს" გამარჯვებით, ანგარიშით – 1:0.

ა. გოგოლაშვილი.
"კომუნისტი", 21 აგვისტო, 1945 წ.